თებერვალი 2019

დრონი ახალი ამბები

ახალგაზრდული ორგანიზაცია „დრონის“ ახალი ამბების წერილი

"YOUTH IN TRANSIT" კონფერენცია

მთავარი თემები

ერთი პლანეტა, ერთი სახლი.

მოგესალმებით ბორტზე!

„უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“

15-16 თებერვალს,თბილისში, სასტუმრო „მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია „Youth in Transit“ . ეს იყო კულმინაცია ჩვენი გრძელვადიანი პროექტისა „Triangle4Youth“. კონფერენციაზე პროექტის შედეგების გაცნობა მოხდა ფართო საზოგადოებისთვის,ასევე, ვიდეოების, „Youth in Transit-ის“ პუბლიკაციების, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების,რომლებიც ჩატარდა მონაწილე ქვეყნებში.
ჩვენი კონფერენცია წარმოადგენდა პლატფორმას ,სადაც ახალგაზრდა ადამიანებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეეძლოთ ერთად მუშაობა და პრობლემებზე საუბარი. კონფერენციაზე ახალგაზდებმა და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები თავიანთი საუკეთესო გამოცდილების შესახებ. მიმდინარეობდა პარალელური ვორქშოფები და პანელური დისკუსიები , რათა შექმნილიყო რეკომენდაციების მონახაზი მუნიციპალიტეტებისთვის.
ახალგაზრდები,მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან,საერთაშორისო ორგანიზაციები,ახალგაზრდული ორგანიზაციები,მკვლევრები,ადგილობრივი პოლიტიკოსები,ახალგაზრდებთან მომუშავეები ,ახალგაზრდა აქტივისტები - იყვნენ ჩართულები პროექტში „Triangle4Youth“, რომლის ფარგლებშიც მათი ერთიანი მონაწილეობითა და ჩართულობით , ახალგზრდული კამპანია დაიგეგმა და განხორციელდა.

ჩვენ გვყავდა სხვადასხვა მომხსენებელი, ძირითად და მნიშვნელოვან ახალგაზრდულ საკითხებზე - საქართველოს ახალგაზრდული ფონდიდან,საქართველოს ნაციონალური ახალგაზრდობის საკონსულოდან,მოლდოვას ნაციონალური ახალგაზრდა კონსული,ევროკავშირის წარმოამდგენლობა საქართველოდან,თბილისის მერიიდან,გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან,დამოუკიდებელი მკვლევრები,ვორლდ ვიჟენიდან,გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან, USE-ITთბილისიდან,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან,ბორას მუნიციპალიტეტიდან,ტურკუს ახალგაზრდული სერვისებიდან და ყველა სხვა მონაწილე ორგანიზაციიდან.

თაკო ნიდარიშვილი

მოგესალმებით ბორტზე!

თებერვლის მეორე ნახევარი ძალიან დატვირთული იყო „დრონისთვის“. ტრენინგების სერია ორგანიზაციის ახალი წევრებისთვის,რომელიც დაიწყო 17 და გაგრძელდა 24 თებერვლამდე.
ამ ტრენინგების განმავლობაში ახალგაზრდებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესწავლათ ორგანიზაცია „დრონის“ შესახებ,გაცნობოდნენ ერასმუს+ ის პროგრამებს,კონფლიქტების/კომუნიკაციების მენეჯმენტს და საბაზისო ცოდნა მიეღოთ ახალგაზრდებთან მუშაობის შესახებ.ტრენინგების დროს მიღებული ცოდნა ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნება მათი სამომავლო საქმიანობის დროს.

„დრონის“ ახალო წევრებო-
მოგესალმებით ბორდტზე!

ერთი პლანეტა, ერთი სახლი.

„დრონის“ მოხალისე დელია სიმონმა თავისი პროექტი „ერთი პლანეტა“ საქართველოში იძულებით გადაადგილებულთა ბანაკში სოფლებში გალავანსა და პრეზეთში განახორციელა. პროექტის მთავარი მიზანია , ახალგაზრდების განათლება და იმ მნიშვნელობის დანახება თუ რატომ უნდა მოვუაროთ გარემოს ჩვენს ირგვლივ და რა პრობლემებს აწყდება მსოფლიო დღეს გარემოს დაცვის მხრივ.
თამაშებისა და კრეატიული აქტივობების დახმარებით, ახალგარზდებს აქვთ საშუალება დროებით გაექცნენ ბანაკში არსებულ ყოველდღიურ მძიმე რეალობას,ისწავლონ, როგორ იმუშაონ ჯგუფში და როგორ დააფასონ ერთმანეთი.ეს ყველაფერი ერთი მიზნისთვის- გადავარჩინოთ ჩვენი ერთი სახლი - დედამიწა.

„უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“

9-10 თებერვლას ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „დრონი“ ჩაატარა ორ დღიანი ტრენინგ-კურსი კიბერ უსაფრთხოებაზე/ჰიგიენაზე.

ტრენინგის პირველ დღეს „Safety First" , მონაწილეებს ჰქონდათ რამდენიმე აქტივობა თუ როგორ მუშაობს ინტერნეტი,როგორი იყო მისი შექმნის ისტორია და გამოყენების რისკები. ასევე, მონაწილეებმა გაიგეს ინტერნეტის მოხმარების მნიშვნელოვანი წესებისა და პირობების შესახებ.

ტრენინგის მეორე დღეს მონაწილეები გაეცნენ ინტერნეტის რისკებსა და „დატროლვის“ საფრთხეებს. ასევე, თუ როგორ უნდა შექმნა ძლიერი პაროლი და ეს ადგილზევე გამოსცადეს პრაქტიკაში. ტრენერებმა მონაწილეებს აჩვენეს სხვადასხვა საშუალება თუ როგორ დაიცვან კონფიდენციალობა და პირადი მონაცემები.

ტრენინგის დასასრულს გაიმართა ფილმის ჩვენება, ყველამ ერთად ნახა ცნობილი ტელე-შოუს „ Black Mirror “ ეპიზოდი, რომლის საშუალებითაც გაანალიზეს თუ რა საფრთხეებს შეიცავს თანამედროვე ტექნოლოგიები და როგორ შეიძლება ის იყოს გამოყენებული ჩვენს წინააღმდეგ.

ნიკა დანელია,ანუკა კაპანაძე,ნინი ბექაური

დრონის წევრები საზღვარგარეთ

რატი კუპატაძე მონაწილეობდა ერაზმუს პლიუსის მოხალისეობრივ აქტივობებში, პროექტ "Positive Vibes"-ის ფარგლებში, პოლონეთში, ქ. ლეშნოში (05/01/2019-07/03/2019).

პროექტის განმავლობაში, ჩაატარა სხვადასხვა თემატური ვორქშოპი ბავშვებისთვის, თინეიჯერებისა და ზრდასრულთათვის - იმპროვიზაციის, ხატვის, ფსიქოლოგიის, ფოტოგრაფიისა და შემოქმედებითი აზროვნების შესახებ.

ქეთევან ჯინორიძე

გილოცავთ დაბადების დღეს!

რაც უფრო გემატება წლები , მით უფრო უკეთესი ხდები!

ირმა მატოშვილი

მარიამ გუგულაშვილი

მევლუდი შანიძე

ნინა გორგილაძე

ქეთა ტულუში

რამაზ ცინცაძე

სალომე ახალაძე

სოფიო გოგიტაძე

ზურა ჯაჭვლიანი